სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 31

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბოლნისის „ყოჩები“ - სტეფანწმინდას „ყაზბეგი“		
გუნდი	ბოლნისის „ყოჩები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	30/11/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	„ყოჩები“-ს წარმომადგენელი(ამ კონკრეტულ თამაშზე არ იყო სათამაშო განაცხადში)	დაბადების თარიღი	21/01/2000
სახელი, გვარი	გიორგი მიქანაძე		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მე-4 მსაჯი - საბა მახარაძე; მსაჯი - საბა აბულაშვილი;	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.13 - არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	04/12/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე.		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის	მატჩის მე-4 მსაჯის საბა მახარაძის საითინგი; მატჩის მსაჯის საბა აბულაშვილის საითინგი;		

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 31

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მე-4 მსაჯის საბა მახარაძის საითინგი (ციტირება) - „ყოჩები“-„ყაზბეგის“ თამაშზე ვიყავი მე-4 მსაჯი, თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ გარემოში, მაგრამ გადაცდომების გარეშე. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, ღობესთან გამოჩნდა „ყოჩების“ მოთამაშე გიორგი მიქანაძე, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას იმ მატჩში, სახე ჰქონდა ნახევრად დაფარული, მაგრამ მოვახდინე იდენტიფიცირება. მოვიდა ღობესთან და გამომიწოდა ხელი, მეც ჩამოვართვი და მივესალმე, ამ დროს ხელით თავისკენ მიმქაჩა და მითხრა „მოდი აბა დალაპარაკება მინდა“ მე ვუპასუხე, რომ „თამაში მიმდინარეობს, საქმეს ვაკეთებ და როდესაც დასრულდება, შეგვიძლია დავილაპარაკოთ-მეთქი“. აქედან გავიდა 2 წუთი და იყო ხმამაღალი შელაპარაკება მატჩის კომისარს ნიკა გალუზინსკაიას და „ყოჩების“ ექიმს შორის, მე მივიტანე შეცვლის ბარათი და დავდევი მაგიდაზე, მაგრამ არ ჩავრეულვარ შელაპარაკებაში, რა დროსაც გიორგი მიქანაძე მომმართავს თითის მინიშნებით „შენ ბიჭო მიდი შენ საქმეს მიხედე“, რაზეც გავეცი პასუხი „შენ საერთოდ ვინ ხარ, რო მეუბნები მე რა გავაკეთო და რა არა-მეთქი“ ამაზე მან დააპირა ღობის მეორე მხრიდან ჩემზე ფიზიკური შეურაცხყოფის მოყენება, მაგრამ მისი გუნდის წევრებმა მოაშორეს იქაურობას და შორიდან მიყვიროდა „შენ თამაშის მერე გნახავ“.თამაში დასრულდა, მოედანი დავტოვე მსაჯებთან ერთად და როდესაც შევდიოდით კორიდორში გიორგი მიქანაძე იდგა, ხელი ჩამოართვა საბა აბულაშვილს და ონისე მოგელაშვილს და მე მეუბნება „წამო დავიბაზროთო“ მეც ვუპასუხე „წამოდი დავილაპარაკოთ-მეთქი“ გადამხვია ხელი მხარზე და გზაში მომიჭირა და მომიგრიხა კისერი, რაზეც მე ხელს ვაშვებინებდი და ვეუბნებოდი „ხელი გამიშვი-მეთქი“, რაზეც მან ხელი დამარტყა სახის არეში და ფეხი მომარტყა მუხლში, იქნევდა მუშტებს და ფეხებს, იგინებოდა, იყო უკონტროლო და შუაში ჩადგა ონისე მოგელაშვილი და საბა აბულაშვილი, ამ დროს მე გამომიყვანეს. მესმოდა გინება და მუქარის შემცველი შეძახილები „ვიცი სადაც ცხოვრობ, დაგადგები ყიფშიძეზე და მოგკლავ“. თამაშის მიმდინარეობის დროს „ყოჩებისგან“ არ იყო კეთილგანწყობა მსაჯების მიმართ, მაგრამ მოედანზე არ გასცდენია ჩარჩოებს. ჩხუბის დროს, კორიდორში იყვნენ „ყოჩების“ მორაგბეები, რომლებიც აგრესიულად იყვნენ განწყობილები, მაგრამ მათმა მორაგბემ ლაშა საჯაიამ გამოიჩინა ინიციატივა და თქვა, რომ „ხელი არ აწეულიყო“, რაზეც განიმუხტა სიტუაცია. ამის შემდეგ გასახდელში ორჯერ შემოვიდა „ყოჩების“ მორაგბე თემურ ჭიჭინაძე, რომელმაც საქმის გარჩევა დაიწყო ონისე მოგელაშვილთან „ცუდად შემომხედეო“, მაგრამ ორივეჯერ მხოლოდ საუბრით შემოიფარგლა და სხვა გაგრძელება აღარ მოჰყოლია.მე არ მქონია არანაირი დაპირისპირება გიორგი მიქანაძესთან წარსულში, არ მიმსაჯია ამ სეზონში „ყოჩების“ თამაში და არც ამ კონკრეტულ თამაშში ვყოფივლარ გადაწყვეტილების მიმღები პირი. შესაბამისად ამ მოქმედებას არ ჰქონია არანაირი წინასწარ განწყობა და მიზეზი. ეს არ არის

პირველი ინციდენტი, რომელიც „ყოჩების“ მოთამაშეების მხრიდან მოხდა, შესაბამისად, მათ თამაშზე მსაჯობა არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების კრიტერიუმებს, სცდება, როგორც სარაგბო, ასევე პიროვნულ ნორმებს.

2. მატჩის მსაჯის საბა აბულაშვილის საითინგი (ციტირება) - 30.10.2024 გაიმართა შეხვედრა “ყოჩები” - “ყაზბეგი” შეხვედრა, სადაც ვიყავი მთავარი მსაჯი. თამაშის განმავლობაში ტრადიციულად არ იყო ყოჩების მხრიდან დადებითი დამოკიდებულება მსაჯობის მიმართ თუმცა თამაშის დროს არ გამცდარა ეს ყველაფერი სათამაშო ფარგლებს. თამაშის დასრულების შემდეგ გზად გასახდელისკენ შემხვდა “ყოჩები”-ს მოთამაშე გიორგი მიქანაძე, მივესალმეთ ერთმანეთს ჩამოვართვით ხელი და გავაგრძელე გზა, ჩემს შემდეგ მოდიოდა ონისე მოგელაშვილი რომელსაც ასევე მიესალმა და შემდეგ საბა მახარაძე რომელსაც გადახვია ხელი და უცებ ატყდა ჩხუბი რაზეც მოვბრუნდი და მე და ონისე მოგელაშვილმა გავაშველეთ. ამ მომენტში არ იმყოფებოდა ჩვენთან ერთად არც დაცვა და არც სხვა პირები. გაშველების დროს მოვიდნენ დანარჩენი ყოჩების მოთამაშეებიც რომლებიც ასევე იყვნენ აგრესიულად განწყობილები. ამის შემდეგ შევედით გასახდელში სადაც შემოვიდნენ ყოჩების მოთამაშე თემურ ჭიჭინაძე და კლუბის წევრი ლევან ხუროშვილი რომლებიც ეკამათებოდნენ ონისე მოგელაშვილს რომლის მზერაც არ მოეწონათ, რომელიც გაშველების შემდეგ ონისეს ქონდა. ამ მომენტში კონფლიქტის თავიდან არიდებაში დაგვეხმარა ყოჩების მოთამაშე ლაშა საჯაია და გაიყვანა ჩვენი გასახდელიდან თანაგუნდელები. რაღაც პერიოდის მერე თემურ ჭიჭინაძე კვლავ მოვიდა ჩვენთან გასახდელში ონისე მოგელაშვილთან ზემოთ ხსენებული საკითხის გასარკვევად. ვუთხარი რომ არ იყო სწორი დრო ამ ყველაფრისთვის და ჯობდა წასულიყო, თუმცა მაინც არ მოიშალა თავისი, ონისე გავიდა გასახდელიდან ისაუბრეს და დაბრუნდა გასახდელში. ეს არ არის პირველი ინციდენტი, რომელიც „ყოჩების“ მოთამაშეების მხრიდან მოხდა ამ ბოლო წლების განმავლობაში. უამრავი შეურაწყოფის ფაქტი გვახსოვს ამ გუნდის მხრიდან და მათი მოთამაშეების მხრიდან რომლებიც დღემდე თამაშობენ და არც მათი დამოკიდებულება იცვლება და ფაქტია არც ქცევა. შესაბამისად, მათ თამაშზე მსაჯობა არ არის უსაფრთხო და სცდება, როგორც სარაგბო, ასევე პიროვნულ ნორმებს.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

გიორგი მიქანაძე :

- ✓ არ დაეთანხმა საბა მახარაძის (მე-4 მსაჯი) საითინგში აღნიშნულ გარემოებას თამაშის დროს მე-4 მსაჯთან შელაპარაკების შესახებ. გიორგი მიქანაძის განცხადებით თამაშის დროს მას მე-4 მსაჯთან არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია. მოგვიანებით კი მიქანაძემ განაცხადა, რომ მე-4 მსაჯმა თამაშის დროს მას მიმართა რეპლიკით „საქმეებს მოვრჩები და მერე გნახავ“.

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 31

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

- ✓ არ დაეთანხმა საბა მახარაძის (მე-4 მსაჯი) საითინგში აღნიშნულ გარემოებას, კერძოდ თამაშის დასრულების შემდეგ მე-4 მსაჯთან მისვლის ფაქტს. გიორგი მიქანაძის განცხადებით თამაშის დასრულების შემდეგ მე-4 მსაჯმა თავად მოუხმო მას სალაპარაკოდ და მან არც თანხმობა უთხრა და არც უარი მე-4 მსაჯს აღნიშნულზე. გიორგი მიქანაძის განცხადებით მან მეგობრულად გადახვია ხელი რა დროსაც მსაჯის მხრიდან იგრძნო საფრთხე (საფრთხე მან განმარტა შემდეგნაირად, რომ იგი არის MMA-ს მოჩხუბარი და გამოცდილებით იგრძნო მე-4 მსაჯის მოქმედებიდან მოსალოდნელი საფრთხე), იმოქმედა დასწრებაზე და მიაყენა ფიზიკური შეურაცყოფა მსაჯს.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მათზე მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო :

ა) ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელის გიორგი მიქანაძის მხრიდან მატჩის ოფიციალური პირის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი. (**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.13 - არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;**)

ბ) კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მხრიდან სრკ-ს დებულების (საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ) მასპინძელი გუნდი ვალდებულია: 7.3.3 პუნქტის (**სტადიონის დაცვასთან ერთობლივად, უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება (კერძოდ - სათამაშო პერიმეტრის, მატჩში მონაწილე პირების გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა)** დარღვევა.

სადისციპლინო კომისია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.20 (**სრკ და მის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა სრკ-ს წევრი სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოთამაშეების და მათი წევრი ყველა პირის დისციპლინირებულ ქცევაზე და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათ მიერ სადისციპლინო რეგულაციების დაცვა.**) და 8.21 (**ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევ პიროვნებას და მის სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი და/ან სხვა შესაბამისი სანქციები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: ბ) ფულადი ჯარიმა და/ან განკარგულება ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით;**) პუნქტების მიხედვით მართებულად მიიჩნევს კლუბ ბოლნისის „ყოჩებს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 31

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	5 (ხუთი) წელი.	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	10/12/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	10/12/2029	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)**	კლუბ ბოლონისის „ყოჩებს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 10 000(ათი ათასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 10 იანვრამდე. შენიშვნა: **სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 6.1 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება		

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	10/12/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf